საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№571 2020 წლის 19 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ არქიტექტურულ ობიექტს – ქ. თბილისის ტერიტორიაზე, დაბა კოჯორში, ნასოფლარ გუდელისში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის

მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	ქ. თბილისი, დაბა კოჯორი, ნასოფლარი გუდელისი	არქიტექტურის / არქეოლოგიური	გვიანი შუა საუკუნეების პირველი ნახევარი